

no. 3 of 100

K 17862
1a

W. F. Hazen
Department of Geology.

J. F. Hazen
1884.

Handwritten text in a cursive script, likely a letter or document. The text is written on aged, yellowish paper and is oriented vertically. The words are difficult to decipher due to the cursive style and the angle of the writing. Some legible fragments include "1948" and "1949".

1884

საქართველო ანდრია მოციქულის დროს.

არტაგის შემდეგ საქართველოს მეფედ დაჯდა იმისი ძე ბარტომი, რომელმაც იმეთა 33 წელი (66—33 ქრისტეს წინად). იმის დროს სპარსეთში მამა-მძუძესაგან აღზრდილმა ფარანჯომის შვილმა მირვანმა, ქველმა, მხნემ, მხედარმა და მრავალ-გზის გამოცდილმა ბრძოლაში თურქებთან და არაბებთან, სპარსეთის სპის ძალით მოსთხოვა მამის ტახტი ქართლის ერისთავებს. «მე ვარ—ასე შეუთვალა იმათ— შვილი მეფეთა თქვენთა ფარნავაზიანთა. დალაკათუ აღზრდილ ვარ სპარსთა თანა, არამედ ვარ მე სჯულისა ზედა მამათა თქვენთასა. სასოებითა მოვალ ძიებად მამულისა ჩემისა.» ერისთავთ არ შეიწყნარეს ბრძანება მირვანისა და ყველანი მიემხრნენ ბარტომს. ბარტომმა შემოიკრიბა სპა ქართლისა, მორთო სომეხეთით ძალი და მიეგება ის მირვანს ხუნანში, ბერდუჯის მდინარეზე. ასტყდა ბრძოლა ბუმბერაზთა. «მირვანმა თავისის თავით მოკლა ცამეტი ბუმბერაზი ქართველთა და სომეხთაგანი, და არაეინ გამოჩნდა ქართველთა და სომეხთა შორის მძლე მირვანისა და ვერცა მეფე ბარტომ ჰბრძოდა მას,

რამეთუ არა იყო მისთანა ძალი გოლიათობისა. იძლიენეს სომეხნი და ქართველნი სპარსთაგან და მოკლულ იქმნა მეფე ბარტომ. ხოლო ბარტომს არა ესვა ძე, არამედ ასული ერთი, და სიცოცხლესავე მისსა მოეყვანა ეგრისით ძის-წული ქუჯისა, სახელით ქართამ, რომელსა შესდგმიდა ფარნავაზიანობა. ფარნავაზის დის ქუჯის ცოლისაგან და დედისა მისისა საურმაგის ასულისა ქუჯის ძის ცოლისაგან. და ამის ქართამისდა ეგრისით მიეცა ასული ცოლად ბარტომ მეფესა და აღეღო ესე შეილაღ. ქართველთა სათნოებისათვის ექმნა ფარნავაზიანთ მიმართ: რამეთუ არა უნდა ქართველთა სხვისა ნათესავისა მეფობა, რომელსაცა არა შესდგმიდა ფარნავაზიანობა. ესე ქართამი მასვე წყობასა შინა მოიკლა ბარტომისთანა. ხოლო ცოლი მისი, ასული ბარტომისა უძღვებო დარჩა და ივლტოდა სომხეთს. მუნ ჰქმნა ყრმა, რომელსა ეწოდა ადერკი».

მირვანმა დაიპყრა ქართლი; იმან ფიცით და აღთქმით გამოიყვანა ციხე სიმაგრეებიდამ ერისთავნი; მძლავრობით შეუღლდა ბარტომის ქვრივს, რომელიც იმყოფებოდა სამშვილდეს. ამ დროს სომხეთში იზღებოდა ადერკი. ის იყო ტანოვანი, გოლიათი და მრავალ-გზის გამოკდილი სომეხთ ბრძოლაში სირიელებთან. იმას მოეკლა მრავალი ბუმბერაზი და სახელოვან ქმნილ-იყო. იმან გამოასთხოვა

სპა სომხეთის მეფეს და წარმართა ქართველთ მეფეზე, შირვანის შვილზე, არშაკზე, რომელიც იმისივე დედის-ძმა იყო. თვით არშაკმა შემოჰკრიბა ყოველნი ქართლის ერისთავნი, მოირთო ძალი სპარსეთით და თრიალევდ იწყეს ბრძოლა ჩუგლუგებით და მშვილდ-ისრებით. «ოღეს უხეთქნიათ ჩუგლუგი იგი საჭურველსა მათსა ზედა — იტყვის ქართლის-ცხოვრება, — მზავს იყვის ხმასა უროსასა, რომელი ცემის მჭედლისაგან გრდემლსა ზედა, და ხმა ზახილისა მათისა მზავს იყო ქუხილისა. მაშინ ვერა სძლეს ერთმანერთსა, დაჰშერეს და უკუდგეს ამიერ და იმიერ. შელამდა ღლე და განისვენეს ორთავე, და დილეულ კვალად გამოვიდეს, აღიღეს მშვილდები, იწყეს რბევად და სისრად ერთმან-ერთისა. ჰკრა აღერკმა ისარი მკერდსა არშაკისასა და ვერა უფარა სიმაგრემან საჭურველისამან, განვლო ზურგიით და ჩამოვარდა არშაკი ცხენისაგან. შეიქცა აღერკი მსწრაფლ, მივიდა სპათა თანა სომხეთისათა და ჰრქვა: გაფუცებ ღმერთთა თქვენთა, ნუ განმარტებთ მახილთა თქვენთა ქართველთა ზედა, რამეთუ მამულნი ია ჩვენნი და აწ მე ვარ მეფე მათი ძალითა და შეწევნითა თქვენითა. ისმინეს სომეხთა ვედრება მისი და დაადგრეს ადგილსა ზედა. შემოიქცა და მოვიდა მახლობლად ქართველთა სპისა და ხმა ჰყო ხმითა მალლითა: «მე ვარ შვილი მეფეთა თქვენთა

და სევსა ჩემსა მოუტემია მეფობა ჩემდა. აწ მიიღეთ ჩემგან კეთილი და სიხარული. აჰა ესე რა სპანი სომხითისანი არა მოუშვენ თქვენ ზედაო. » მაშინ მიუგეს ქართველთა: « გამოსჩინდა უმჯობესი ყოველგან ნათესავთა ფარნავეზისათა. რადგან მოკვდა მეფე ჩვენი, და ვმადლობთ სევსა ჩვენსა, რამეთუ მოგვცა საზღვრად მეფისა ჩვენისა შვილივე მეფეთა ჩვენთა, გოლიათი და სახელოვანი. » გარდახდეს ყოველნი ქართველნი და სცივიცს პირსა ზედა თვისსა და თაყვანი-სცეს ადერკის და მშვიდობით შეკრბეს ერთად სომეხნი და ქართველნი და სპარსნი რანისანი და მოიღეს ქართველთა გვირგვინი არშაკისა და დაადგეს ადერკის. » ამ გვარად დაარსდა ეკლავ ჩვენში ქართლოსიანთ სახლი ანუ ფარნავეზის შთამომავლობა. ადერკმა იხელმწიფა მეორის წლიდამ ქრისტეს შობამდე ეიღრე ნა წლამდე ქრისტეს შემდეგ. შემდეგ ადერკისა იმისნი შთამომავალნი მეფობდნენ ერთი მეორის შემდეგ შეუწყვეტელად საუკუნეზე ცოტა მეტი დრო და 186 წელს კი მოიპანენ სრულებით. უკანასკნელი იმითი სახლის წარმომადგენელი იყო ამჟამს მეორე. 186 წელს ქართლოსიანთ ტახტზე დაჯდა ისევ წვერი არშაკიდებისა, მაგრამ ის იყო ძე სომხის მეფისა რევი, რომელიც მეფობდა 213 წლამდე და შემდეგ მეფობდნენ იმისნი სუსტნი შთამომ-

მავალნი 265 წლამდე. ამ დროდამ კი ანუ მირიან მეფის დროდამ აღმოჩნდა ახალი სამეფო გვარი ხოსროიდებისა ანუ, უკეთ ვთქვათ, სპარსეთის სას-სანიდების შტო, რომლის შემდეგაც საქართველოს ტახტზე დამყარდნენ ბაგრატიონნი.

ადერკის მეფობაში რამდენიმე შემთხვევაა ღირს-საცნობელი: მგზავრობა ანდრია მოციქულისა საქართველოს დასავლეთ მხარეებში ქრისტეს აღსარე-ბის განსაერცვლებლად; საქართველოს აღწერა გან-ვითარებულთ უცხო-ტომთ მწერალთაგან, სტრაბონ-ისაგან და ტაციტისაგან; თვით ადერკის შემდეგ მოხდა: საქართველოს დაყოფა ორ-ორთ მეფეთა შორის და იმისი სამზღვრების დაქერა სომხეთის მხრივ სომხების მეფეებისაგან, რომელსაც შეუდგა ხან-გრძლივი ბრძოლა იმათთან ქართველებისა ამ საზღვრების გამო.

მართლის ცხოვრება ჩვენ წინა-პართ ძველს სარწმუნოებას და ზნეობას თავ-და-პირველად შეეხება მამასახლისების დროს. მიეყვით იმის თქმულებას.

«მას ქამსა — იტყვის იგი — დაივიწყეს ქართლოსიანთა ღმერთი დამბადებელი მათი და იქმნეს მსახურ მზისა, მთვარისა და ეარსკვლავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიციარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა. ქაინოსრო სპარსთა მეფემ მოვლო ყოველი სომხეთი და ქართლი, და დაუტყვნა ვერს-

თავნი და აღაშენა არდაბადაგანს სახლი სალოცავი
სჯულისა მათისა... ქართველთა დაიპყრეს სჯული
უბოროტესი ყოველთა ნათესავთა, რამეთუ ცოლ-
ქმრობისათვის არა უჩნდათ ნათესაობა, და ყოველ-
სა სულიერსა ჭამდეს. საფლავი არა იყო, მკვდარსა
შესჭამდეს,» «აღექსანდრე მაკედონელმა ჰპოენა ყო-
ველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა
სჯულითა, რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათვის
არა უჩნდათ ნათესაობა, ყოველსა სულსა სჭამდეს,
მკვდარსა შესჭამდეს,» და «უბძანა აღექსანდრემ
აზონს, რათა პატივს-სცემდენ მზესა და მთვარეს და
ფარსკლავთა ხუთთა, და მსახურებდენ ღმერთსა უბი-
ლაესს, დამბადებელსა ყოვლისასა.» «მოკვდა აღექ-
სანდრე და ამან აზონ დაუტევა სჯული აღექსან-
დრეს მოცემული. იწყო კერპთ-მსახურებად და შექ-
მნა ორნი კერპნი ვერცხლისანი, გაცი და გაიამ.»
ვანუშტი დაურთავს: აზონმა ნება მისცაო ქართვე-
ლებს თავიანთის შეილების მსხვერპლად შეწირვისა
კერპთათვის «ფარნაფაზ მეფემ შექნა კერპი დიდი სა-
ხელსა ზედა თვისსა. ესევე არს არმაზი, და ფარნა-
ფაზს სპარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერპი იგი
არმაზი თავსა ზედა ქართლისასა. რომელსა მიერიდ-
ვან ეწოდო არმაზი კერპისა მისთვის. და ქმნა სატფუ-
რები დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა.» «რად-
გან წარვიდა აღექსანდრე, არლარა სჭამდეს კაცსა,

ცვალა, და ცვალად ეშეისაგან კაცადვე მოაქცივნა,
მან უკვე ღმერთმან ჰყო და მოაწიენა ესე ზისხვა
თვისი მათ ზედა. *და ესე იგი არაა იგივეა, არაა იგივეა*
როგორცამ გამოწაწერილამ სიანს, ჩვენ იმატი-
ანე უჩვენებს ორს სხვა და სხვა მხარეს, საიღამაც
საქართველოში ძველი აღსარება გავრცელებულა.
ეს მხარეებია: საბერძნეთი და სპარსეთი. აზონს შე-
მოაქვს გაცი და გაიამი; საურმავეს — აინინა და და-
ნანა; ფარნაჯომს — ზადენი. ან დრია მოციქულის
დროს მესხნი მსახურებენ ბერძნების ღმერთებს, არ-
ტემის და აბოლოონს. რვეის მეთუღლე, ასული ლო-
ლოთეთისა, შემოიტანს აფროდიტს. ვიდრე ბერძნე-
ბის სარწმუნოებრივი გავლენა აღმოჩნდებოდა ჩვენ
მხარეში, ბევრით ადრე იმ დროებზე აქ ვპოულობთ
იმავე აღსარების წესს და ღმერთებს, რომელნიც
აღმოჩნდებიან ტავროსკვითებში და რომელთაც
თვით საბერძნეთის ტომნი ექვემდებარებოდნენ. ამ
საგანს ქართლის ცხოვრება შეეხება: «მსახურებდნენ
მზესა, მთვარესა და ხუთთა მფარსკვლავთა,» სპარსე-
თიღამ ჩვენ შემოგვიტანია არმაზი. ქართლის ცხოვ-
რება იტყვის ფარნავაზზე: «შექმნა კერპი დიდი სა-
ხელსა ზედა თვისსა, ესე იგი არმაზი.» მაგრამ ცხა-
დია, რომ არმაზი ძველადვე დამყარებულა საქარ-
თველოში, ჩვენი არმაზია სპარსების ოგროზდი, სომ-
ხების არმაზტი. ის სპარსეთში იყო «მზის ანუ ცე-

ცლის წარმომადგენელი;» იმისნი მსახურნი იყვნენ მოგენი. საქართველოში და სომხეთში იმას კერპთ-მსახურების გავლენის ქვეშ შეუცვლია თავისი ხასიათი და ბუნება: აქ ის გარდაქცეულა საწარმართო კერპად და რადგანაც სხვა კერპებზე ხალხის აზრში უძლიერესი ყოფილა, ამისთვის ის აქ, როგორც სომხეთში, უმთავრეს ღმერთად გადაქცეულა. სომხეთის არმაზტი იწოდებოდა ღმერთების მამად და მეფედ; იმისი ტაძარი იყო აღმართული ანის ქალაქში; აქვე ჰქონდა ადგილ-სადგომი არმაზტის მღვდელთ, მთავარს, მოსე ქორენელის სიტყვით, ქართველების «არმაზი ქექ-ქუხილის მპყრობელი, აღმართული იყო ქალაქს გარეთ, გაღმა მდინარისა. ჩვეულებისა-მებრ ქალაქის მცხოვრებნი თაყვანს-ჰსცემდნენ იმას ყოველ დღე, განთიადის დროს, თავიანთის სახლის სარტყლებიღამ და ვისაც იმისთვის მსხვერპლის შეწირვა ჰსურდა, ის გავიდოდა მდინარეს და ტაძრების წინ დაჰკლავდა მსხვერპლს.» რასაც ჩვენ ზემოთ ვამბობთ საქარლველოს სარწმუნოების თვისებაზე, თითქმის იმასვე ამბობს სენ-მარტენი სომხეთის ძველს სარწმუნოებაზე. იმის სიტყვით «ტრდატ მეფის წინა—მოადგილეთ დროს სომხეთი აღიარებდა იმავე აღსარებას, რომელსაც მისდევდნენ პარფიელნი; ესე იგი: შეიძლება ვიფიქროთ, რომ სომხების აღსარება იყო ზოროასტრის სარწმუნოება, მაგრამ შეცვლილი და

შერეული როგორათაც ბერძნების აღსარებასთან, აგრეთვე სხვა და სხვა გვარს ამაო — რწმუნებასთან, რომელნიც სომხების წინა-პართ სკეითიიდამ გამოუტანიათ. სომხების საკერპოებში იხილებოდა მრავალ-რიცხვი კერპები, რომელთაც პირუტყვით შესწირავდნენ. ამ გვარი მსხვერპლები აღკრძალული იყო ზორთასტრის სარწმუნოებაში. უშემძლებელესნი ღმერთნი, სომხების აზრით, იყვნენ: არამაზტი, სპარსების ორმუზდი და ბერძნების იუპიტერი; ღმერთა ჰანაიდი ანუ ვენუსი და მიჰრი ანუ მითრა. სომხები თაყვანს სცემდნენ აგრეთვე სბანტარადს, ვაჰაკანს, ფარშამს, ნანეს და სხვათა მრავალთა, რომელნიც ჩვენ მიერ ცნობილნი არ არიან.

ძებრთ-მსახურება იყო გავრცელებული როგორც საქართველოს თემებში, აგრეთვე იმის მოსაზღვრე ქვეყნებში. სტრაბონის წარმოდგენით, ალბანელი იხილნი თაყვანს სცემდნენ მზეს, იუპიტერს და მთვარეს (ანაჰიდს), და მომატებულად ამ უკანასკნელს, რომლის ტაძარიც — იყო იბერიის სამძღვრად მცირეაზიაში მსახურებდნენ: თიანინში აპოლოლონს, ფილოსტრაფის აზრით, იქვე ნაზობს; ბითინიაში — მარსს; ტრაპიზონში — მერკურის და ჯოჯოხეთის ღმერთს, ჩვენის პონტის მხარეების ღმერთნი იყვნენ ჰერაკლისის, ანუ ახლანდელის ანაკლიის, იუპიტერი სტრატია, ფაზისა — ვენერა, რომელიც არრიანის სი-

ტყვით, იმყოფებოდა მდინარის შესართავის მარ-
ცხნივ. ვენერას ხელში ეპყრა კიბბალი და იმისი
ტრონი იყო დაბჯენილი ლომების სტატუებზე. ვე-
ნერა იჯდა პარფის მსგავსად ფაზის ქალაქშივე უჩვე-
ნებს არჩიანი ახილღესის ტაძარს, ახეღღესისავე
სახელით წოდებულს, რომელიც კუნძულზე თურმე
იყო აღმართული, აფხაზთ თაყვანის-ცემის საგანს,
პროკოფის მოწმობით, შეადგენდნენ ქალები და
ტყეები. თვით ძველნი ჩერქეზნი ამბობს ღუბუა,
თაყვანს-სცემდნენ «ქალწულს, რომელიც წარმო-
ადგენდა როგორც ჰანაიდს ანუ ვენერას—მთავრეს
სომხებისას, აგრეთვე la Venus Uranie. ეს ღმერთა-
იგივე იყო, რაც იყო დიანა ლუციფერა ანუ ტედი-
ფერა, რომელსაც ეპყრა ნათელი ანუ ლამაზარი.»
ხერსონესში აღმართული იყო ტაძარი «იგიფენიად
გადაქცეულის საზარელის დიანასი.»
ამ გვარად იყო მოფენილი საქართველოში და
იმის გარეშემო კერპთ-მსახურება. თუმცა, როგორც
ქართლის-ცხოვრება ამბობს, კერპთ-მსახურებას ძვე-
ლადვე ებრძოდა ცეცხლის აღსარება, თუმცა ზოგი-
ერთს მეფეებსაც მიიმხრობდა ის, თუმცა იმისნი
მსახურნი—მოგენი ხალხშიაც აგრცელებდნენ იმის
მსახურებას, თუმცა ამ ბრძოლამ კაი ხანიც გასწია
და თვით ქრისტეს სჯულის მიღების შემდეგ საქარ-
თველოში, ესე იგი მეხუთე-მეექვსე საუკ. აღძრა დი-

დი ბრძოლა ლაზიკაში, ვიზანტიელებსა და სპარსებს შორის, მაგრამ მაინც შეუძლებელი საქმე იყო ცეცხლის თაყვანის-ცემისაგან დაჩაგრვა ძველად კერპთ-მსახურებისა, შემდეგ ქრისტეს სარწმუნოებისა, შეუძლებელი იყო ამისთვის, რომ ჯერ კერპთ-მსახურება, მასუკან ქრისტიანობა საქართველოში და იმის მოსაზღვრე მხარეებში იყენენ მკიდროდ დამყარებულნი და მოფენილნი.

რა ძალით მოქმედებდა საქართველოში კერპთ-მსახურება, ამას ქართის-ცხოვრებავე მოიხსინებს, ის იტყვის: «ქართველებს ეპურათ სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესაფთა: ქართველები შესწირვიან კერპებს ყრმათა, სჭამდნენ კაცთა, რომელთა შესწირვიან კერპთა.» შესაწყნარებელია თუ არა ეს თქმულობა, აი ამაზე რას ამბობს ბროსსე: «მე მჯერა ქართლის-ცხოვრების სიტყვა ცოლ-ქმრობაში ნათესაობის შერევაზე ურიების ჩვეულების მიყოლით და მკვდრის დაუმარხაობაზე ცეცხლის თაყვანის-მცემელთ მიბაძვით. მაგრამ მეძნელება დავიჯერო, ვითომც იბერიელთ ოდესმე ჩვეულებად ჰქონიყოთ კაცის მჭამლობა. კაცის-მჭამლობას, ჩვეულებად შეთვისებულს, ძნელად პოულობენ თვით აზიის ტომებში. ამერიკის და ოკეანის მცხოვრებნი, რომელთაც მართალია, ჰქონიათ და აქვთ ეს ჩვეულება, აზიან ველურნი მეომარნი; იმათ არ იციან არც

ბინადრული ცხოვრება, არც იმისი საფუძველი მიწის
შემუშავება. ისინი იკვებებიან წყლის ცხოველით
და ტყის ნაყოფით. ამისთვის შესაძლებელია, რომ
იმათი პირუტყვის მსგავსი ბუნება და შიმშილი აღ-
ძრვენ იმათ გულის-წადილს, როდესაც ისინი ჰხედ-
ვენ მტერს, მიწაზე გართხმულს, მაგრამ ადამიანის
ჭამა ნაყოფიერის მიწის-მუშაკთ იბერთაგან, რომელ-
ნიც ბერძნებისა და რომაელების თქმით, მჭიდროდ
დაფუძნებულს ტომს შეადგენდნენ, შესაწყნარებელი
საქმე არ არის, და მე უარ-ვყოფ ამას.»